ნაწილი ა - თხუთმეტივე კითხვა სავალადებულოა

თითოეული კითხვა 2-ქულიანია

ქვემოთ აღწერილი სცენარი დაკავშირებულია კითხვებთან 1-5

თქვენ ხართ Bark & Co-ს უფროსი აუდიტორი და გაგანაწილეს Foliage Co-ს აუდიტზე, რომელიც საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიაა და უკვე რვა წელია თქვენი დამკვეთია, სპეციალიზდება მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოებაზე. Foliage Co-ს აუდიტის გარიგების პარტნიორი იყო ჯეინ ლიიფი, თუმცა, რადგან მან შვიდი წელი იმუშავა გარიგების პარტნიორად, ახლახან განხორციელდა მისი როტაცია მოცემული აუდიტის გარიგებიდან. აუდიტის ამჟამინდელი პარტნიორის მოსაზრებით, Foliage Co-თან მჭიდრო კავშირის შესანარჩუნებლად წელს ჯეინ ლიიფმა უნდა შეასრულოს გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველის როლი. Bark & Co-გან მიღებულმა მთლიანმა საზღაურმა ფირმის მთლიანი შემოსავლის 16% შეადგინა. მიმდინარე წელს მოსალოდნელია, რომ მთლიანი საზღაური აუდიტორული, არააუდიტორული და საგადასახადო მომსახურებიდან უფრო მეტი იქნება გასულ წელთან შედარებით. Foliage Co-ს აუდიტის მენეჯერმა ახლახან გამოაცხადა, რომ ტოვებს Bark & Co-ს, რათა Foliage Co-ში გადავიდეს ფინანსურ მაკონტროლებლად.

---

1. **რომელია ყველაზე შესაფერისი რეაგირება წინადადებაზე, რომ ჯეინ ლიიფმა შეასრულოს გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველის როლი?**

   ა. ჯეინ ლიიფს შეუძლია მიმომხილველის ფუნქციების შესრულების ახლავე დაწყება.

   ბ. ჯეინ ლიიფს შეუძლია მიმომხილველის ფუნქციების შესრულების ახლავე დაწყება, მაგრამ საჭირო იქნება დამატებითი დამცავი ზომები.

   გ. ჯეინ ლიიფმა არ უნდა შეასრულოს გარიგების ხარისხის მიმომხილველის ფუნქცია სულ მცირე ორი წლის განმავლობაში მაინც.

   დ. Bark & Co-მ უნდა განიხილოს Foliage Co-ს აუდიტორობიდან გადადგომის საკითხი.

   (2 ქულა)

2. **რომელია ყველაზე შესაფერისი რეაგირება, Bark & Co-ს მიერ Foliage Co-გან მიღებულ საზღაურთან მიმართებაში?**

   ა. Bark & Co-მა უნდა შეაფასოს აუდიტორული და არააუდიტორული მომსახურებიდან მიღებული ანაზღაურება შეადგენს თუ არა მთლიანი შემოსავლის 15%-ზე მეტს ზედიზედ ორი წლის განმავლობაში.

   ბ. თუ მიმდინარე საზღაური გადააჭარბებს ფირმის წლიური შემოსავლის 15%-ს, მაშინ მიმდინარე წელს Bark უნდა გადადგეს Foliage Co-ს აუდიტორობიდან.

   გ. თუ მიმდინარე საზღაური გადააჭარბებს ფირმის წლიური შემოსავლის 15%-ს, მაშინ ხელახლა უნდა იქნეს განხილული, ფირმამ უნდა შეასრულოს თუ არა საგადასახადო და არააუდიტორული დავალებები.

დ. თუ ანაზღაურება 15%-ს გადააჭარბებს, ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს Foliage Co-ს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს. **(2 ქულა)**

3. რომელი ეთიკური საფრთხე შეიქმნება, როდესაც აუდიტის მენეჯერი დამკვეთთან დაიწყებს მუშაობას და რა ზომები უნდა იქნეს მიღებული ამ საფრთხის მართვისთვის?

საფრთხე	*ზომა*
ა. შანტაჟი	მენეჯერს არ უდა მიეცეს ფინანსური მაკონტროლებლის ფუნქციის შესრულების უფლება.
ბ. ფამილიარული ურთიერთობა	საჭიროა აუდიტის გუნდის შემადგენლობის გადასინჯვა და საჭიროებისამებრ შეცვლა.
გ. კონფიდენციალურობა	მენეჯერს არ უნდა მიეცეს ფინანსური მაკონტროლებლის ფუნქციის შესრულების უფლება.
დ. თავდაჯერებულობა	საჭიროა აუდიტის გუნდის შემადგენლობის გადასინჯვა და საჭიროებისამებრ შეცვლა.

(2 ქულა)

4. განსაზღვრეთ ქვემოთ მოცემული წინადადებებით ეთიკის წესებზე დაფუძნებული მიდგომაა აღწერილი, თუ კონცეფციებზე დაფუძნებული.

(1) ნათლად განსაზღვრული კანონები აუდიტორების მიერ დასაცავად.
(2) სასარგებლოა დინამიკურ პროფესიაში.
(3) სახელმძღვანელო მითითებები, რომელთა მიმართ აუდიტორი განსჯას იყენებს კონკრეტულ გარემოებებში გამოსაყენებლად.
(4) ადვილია იმის ცოდნა, რა არის ნებადართული და რა არა.

	წესებზე დაფუძნებული მიდგომა	**კონცეპტუალურ ჩარჩოზე დაფუძნებული მიდგომა**
ა.	1,4	2,3
ბ.	1,2	3,4
გ.	2,3	1,4
დ.	3,4	1,2

(2 ქულა)

5. ქვემოთ მოცემული პრინციპებიდან, რომელი ორი პრინციპი წარმოადგენს ფუნდამენტურ პრინციპს, ACCA-ის ეთიკის და ქცევის კოდექსის მიხედვით?

ა. ობიექტურობა და პროფესიული სკეპტიციზმი

ბ. პროფესიული სკეპტიციზმი და პროფესიული განსჯა

გ. დამოუკიდებლობა და კონფიდენციალურობა

დ. ობიექტურობა და კონფიდენციალურობა

(2 ქულა)

ქვემოთ აღწერილი სცენარი დაკავშირებულია კითხვებთან 6-10

Flute Co არის მობილური ტელეფონების მწარმოებელი დიდი კომპანია, რომელსაც მაღაზიების ქსელი გააჩნია ევროპის ქვეყნებში. კომპანიის წლის დასასრულია 30 ივნისი. Flute Co ახალი დამკვეთია და თქვენ ახორციელებთ ჩასატარებელი აუდიტის დაგეგმვას. ფინანსურ დირექტორთან შეხვედრის შემდეგ აუდიტის პარტნიორმა მოგაწოდათ დაგეგმვასთან დაკავშირებული შენიშვნები.

წლის განმავლობაში კომპანიამ თავისი გაყიდვების გუნდისთვის შემოიღო გაყიდვებზე დაფუძნებული ბონუსები. სამიზნე ბონუსი ემყარება ისეთი მომხმარებლების რაოდენობის ზრდას, რომლებიც 24-თვიან სატელეფონო ხაზის ხელშეკრულებაზე მოაწერენ ხელს. ეს წარმატებული აღმოჩნდა და ამონაგები 15%-ით გაიზარდა, განსაკუთრებით წლის ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში. დებიტორული დავალიანებების დონე მნიშვნელოვნად მაღალია გასულ წელთან შედარებით და ზოგიერთი მომხმარებლის კრედიტუნარიანობასთან დაკავშირებით პრობლემები არსებობს.

თქვენ უნდა განახორციელოთ ფინანსური ანგარიშგების პროექტის წინასწარი ანალიზური მიმოხილვა და შემდეგი ინფორმაცია მოგაწოდეს:

ამონაგები	$1,267,000
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	$1,013,000
დებიტორული დავალიანება	$121,000
კრედიტორული დავალიანება	$87,500
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	$60,000
ფულადი სახსრები	$123,000

6. რამდენია დებიტორული დავალიანების ხანგრძლივობა, კრედიტორული დავალიანების ხანგრძლივობა და სწრაფი კოეფიციენტი?

	დებიტორული დავალიანების ხანგრძლივობა	**კრედიტორული დავალიანების ხანგრძლივობა**	**სწრაფი კოეფიციენტი**
ა.	25.2 დღე	21.6 დღე	1.4
ბ.	34.9 დღე	31.5 დღე	2.8
გ.	25.2 დღე	31.5 დღე	3.5
დ.	34.9 დღე	21.6 დღე	1.4

(2 ქულა)

7. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელია Flute Co-ს გაყიდვების გუნდის ბონუსებთან დაკავშირებული აუდიტორული რისკის შესაფერისი ახსნა?

ა. ამოუღებადი ვალების გამო, გაზრდილია კომპანიის მოგების შემცირების რისკი.

ბ. გაზრდილია ამონაგების დროში არასწორად გამიჯვნის რისკი.

გ. გაზრდილია ამონაგების ნაკლებად შეფასების რისკი.

დ. გაზრდილია პირდაპირი დადასტურების აუდიტორულ ტესტზე მომხმარებლების მიერ პასუხის გაუცემლობის რისკი.

(2 ქულა)

8. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი არ არის სათანადო აუდიტორული რეაგირება ზოგიერთი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის პრობლემებზე?

ა. დროში გამიჯვნის ინტენსიური ტესტები.

ბ. ვალების ამოღებაზე კონტროლის მიმოხილვა, კრედიტის კონტროლის ფუნქციის ეფექტურობის შესაფასებლად.

გ. 90 დღეზე ხანგრძლივი დებიტორული დავალიანების ნაშთების განხილვა ფინანსურ დირექტორთან დებიტორული დავალიანების ანარიცხების ადეკვატურობის შესაფასებლად.

დ. წლის დასრულების შემდეგ ფულადი სახსრების მიღების ტესტების გაზრდა.

(2 ქულა)

9. ქვემოთ მოცემული განცხადებებიდან, რომელი ორი განცხადება აღწერს საუკეთესოდ ანალიზური პროცედურების გამოყენების მიზანს Flute Co-ს აუდიტის დაგეგმვის ეტაპზე?

1. ფინანსურ ანგარიშგებაზე საერთო დასკვნის გამოტანაში დახმარება.
2. შესაფერისი და საიმედო აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება.
3. არსებითი უზუსტობების რისკის გამოვლენაში დახმარება.
4. Flute Co-ს უჩვეულო ოპერაციებისა და მოვლენების გამოვლენაში დახმარება.

ა. 3,4

ბ. 1,2

გ. 2,3

დ. 2,4

(2 ქულა)

10. ქვემოთ მოცემული განცხადებებიდან, რომელია სწორი Flute Co-თან, ფირმის ახალ დამკვეთთან, დაკავშირებით?

ა. თანდაყოლილი რისკი იზრდება, რადგან ფირმას არ გააჩნია Flute Co-ს შესწავლის ან მასთან მუშაობის კუმულაციური გამოცდილება.

ბ. შეიძლება აუდიტორს არ გააჩნია კომპეტენცია აუდიტის ჩასატარებლად და უნდა განიხილოს გადადგომის საკითხი.

გ. აუდიტორი უნდა დაუკავშირდეს ყოფილ აუდიტორს, რათა კითხოს, არსებობს თუ არა რაიმე პროფესიული საკითხი, რომლის შესახებ მან უნდა იცოდეს.

დ. გაზრდილი რისკის გამო, აუდიტორს დასჭირდება განხორციელებული ხარისხის კონტროლის პროცედურების რაოდენობის გაზრდა.

(2 ქულა)

ქვემოთ აღწერილი სცენარი დაკავშირებულია კითხვებთან 11 – 15

თქვენ ხართ Jones & Co-ს უფროსი აუდიტორი და ამჟამად ატარებთ Walker Co-ს საბოლოო აუდიტს 20X6 წლის 31 ოქტომბერს დასრულებული წლისთვის. კომპანია არის ფეხსაცმლის და ჩექმების მწარმოებელი და საცალო გამყიდველი. ამჟამინდელი უფროსი აუდიტორი ავადაა და თქვენ გთხოვეს მის არყოფნაში ხელფასის აუდიტის შესრულება.

Walker Co-ს სათავო ოფისში მისვლისას შემდეგი ინფორმაცია მიიღეთ მიმდინარე და გასული წლის აუდიტის ფაილების მიმოხილვიდან:

1. 20X5 წლის 31 ოქტომბერს, Walker Co-ს 500 თანამშრომელი ჰყავდა.
2. 20X5 წლის 1 ნოემბერს თანამშრომლების 10% შეამცირეს ერთ-ერთი პროდუქტის წარმოების შეწყვეტის გამო.
3. 20X6 წლის 1 იანვარს ყველა დარჩენილ თანამშრომელს ხელფასი 6%-ით მოემატა.
4. წლის განმავლობაში გაყიდვის დონეები აკმაყოფილებდა საქმიანობის შედეგების სამიზნე მაჩვენებლებს, რის შედეგად ფიქსირებული ბონუსი, $1,500, მიიღო თითოეულმა თანამშრომელმა 20X6 წლის 31 ოქტომბერს.

ქვემოთ მოცემული განცხადებებიდან, რომელი აღწერს ხელფასების და შრომის ანაზღაურების დროში გამიჯვნის რწმუნებას?

ა. ხელფასები და შრომის ანაზღაურება სამართლიანადაა განაწილებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ბ. ხელფასები და შრომის ანაზღაურება სათანადოდაა გამოთვლილი, ყველა შესაფერისი საგადასახადო ხარჯის და შესწორების გათვალისწინებით.

გ. ხელფასები და შრომის ანაზღაურება Walker Co-ს ყველა თანამშრომელზე გაიცა სააღრიცხვო პერიოდში.

დ. აღრიცხული ხელფასები და შრომის ანაზღაურება დაკავშირებულია მიმდინარე წელთან, რომელიც მთავრდება 20X6 წლის 31 ოქტომბერს.

(2 ქულა)

11. ქვემოთ მოცემული აუდიტორული მტკიცებულება მოპოვებულ იქნა, Walker Co-ში ხელფასების და შრომის ანაზღაურების სისრულესთან დაკავშირებით:

1. აუდიტის გუნდის წევრის მიერ მთლიანი ჯამის გამოთვლის შემოწმება;
2. Walker Co-ს დირექტორებისაგან ოფიციალური ინფორმაცია, სადაც ადასტურებენ ხელფასების და შრომის ანაზღაურების სისწორეს;
3. Walker Co-ს ფინანსური დირექტორის მიერ ხელფასების და შრომის ანაზღაურების სისწორის ზეპირი დადასტურება;
4. Walker Co-ს შიდა აუდიტის გუნდის წევრის მიერ თანამშრომლების შერჩევითი ერთობლიობისთვის დარიცხული ხელფასის და ხელზე გასაცემი ხელფასის

ხელახლა გამოთვლა.

(2 ქულა)

12. როგორია მოცემული აუდიტორული მტკიცებულებების საიმედოობის რიგითობა, დაწყებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებით?

ა. 1, 2, 3, 4

ბ. 1, 4, 2, 3

გ. 4, 1, 2, 3

დ. 4, 1, 3, 2

(2 ქულა)

13. Walker Co-ს გასული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში $17 მილიონი იყო ასახული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხელფასებისა და შრომის ანაზღაურებისათვის.

რამდენი იქნება მიმდინარე წლის შეფასებული ხელფასებისა და შრომის ანაზღაურების ხარჯი, თანამშრომელთა შემცირების დანახარჯებს თუ არ გავითვალისწინებთ, აუდიტის ფაილების მიმოხილვიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე?

ა. $16,740,000

ბ. $16,893,000

გ. $16,815,000

დ. $18,600,000

(2 ქულა)

14. განსაზღვრეთ ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი ორი პროცედურაა ძირითადი ანალიზური პროცედურა ხელფასების და შრომის ანაზღუარებისათვის.

1. ხელფასის სისტემაში მიაკვლიეთ მთლიან ხელფასებს და შრომის ანაზღაურებას და შეადარეთ ფინანსური ანგარიშგების პროექტში ასახულს.
2. თანამშრომლების შერჩეული ერთობლიობისათვის ხელახლა გამოითვალეთ დარიცხული და ხელზე გასაცემი ანაზღაურება, შეადარეთ ხელფასის ჩანაწერებს და გამოიკვლიეთ განსხვავებები.
3. მიმდინარე წლის მთლიანი ხელფასის ხარჯი შეადარეთ გასული წლის ხელფასის ხარჯს და გამოიკვლიეთ მნიშვნელოვანი განსხვავებები.
4. მთლიანი ჯამის გამოთვლა შეამოწმეთ და მოსალოდნელი ხარჯი შეადარეთ ფინანსური ანგარიშგების პროექტში ასახულ ფაქტობრივ ხარჯს.

ა. 1,2

ბ. 2,3

გ. 3,4

დ. 1,4

(2 ქულა)

15. თქვენ მოგცეს ამონაგებზე ჩასატარებელი პროცედურების სია. განსაზღვრეთ ქვემოთ მოცემული პროცედურებით, რომელი მტკიცების ტესტირება ხორციელდება.

1. განახორციელეთ წლის დასრულების შემდგომი დაბრუნებების შერჩევითი ერთობლიობისადმი მიდგომის მიმოხილვა.
2. შეარჩიეთ გაგზავნილი სასაქონლო ზედნადებების შერჩევითი ერთობლიობა და შეადარეთ ყოველდღიური გაყიდვების წიგნს.
3. ყოველდღიური გაყიდვების წიგნიდან შეარჩიეთ ანგარიშ-ფაქტურების შერჩევითი ერთობლიობა და შეადარეთ გაგზავნილ სასაქონლო ზედნადებებს.
4. შეარჩიეთ ანგარიშ-ფაქტურების შერჩევითი ერთობლიობა, ხელახლა გამოითვალეთ ანგარიშ-ფაქტურის თანხა, შეადარეთ ფასების სიას.

	სისწორე	**სისრულე**	**მოხდენა**
ა.	2	1	3,4
ბ.	1	3,4	2
გ.	4	2	1,3
დ.	3	2	1,4

(2 ქულა)

ნაწილი B - სამივე კითხვა სავალადებულოა

16. თქვენ აუდიტის ზედამხედველად მუშაობთ Halley & Co-ში და ახლა განიხილავთ დოკუმენტაციას, Publishing Co–ს შესყიდვების და კრედიტორული დავალიანების სისტემის შესახებ, 20X7 წლის 30 სექტემბერს დასრულებული წლის შუალედური და საბოლოო აუდიტისთვის მოსამზადებლად. კომპანია წიგნებით საცალო მოვაჭრეა და ათი მაღაზია და ცენტრალური საწყობი აქვს, სადაც კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების უმეტესობაა განთავსებული.

თქვენი ფირმა უკვე მრავალი წელია Publishing Co-ს აუდიტს ატარებს და აუდიტის დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია გასული წლის ფაილში, მათ შორის შიდა კონტროლის დიაგრამა და შესყიდვებისა და კრედიტორული დავალიანების სისტემის დეტალური აღწერა. როგორც თქვენთვის ცნობილია, Publishing Co-ს შიდა კონტროლის სისტემა არ შეცვლილა გასული წლის შემდეგ. აუდიტის მენეჯერს სურს, რომ გუნდმა არსებული სისტემების დოკუმენტაცია გამოიყენოს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს აუდიტის წარმადობა. არსებული სისტემების აღწერიდან ამონარიდი მოცემულია ქვემოთ.

ამონარიდი შესყიდვების და კრედიტორული დავალიანებების სისტემის აღწერიდან

მაღაზიის მენეჯერები პასუხისმგებელნი არიან თავიანთი მაღაზიებისთვის წიგნების შეკვეთაზე. ამჟამად შეუძლებელია მაღაზიის მენეჯერების მიერ წიგნების სხვა ცხრა მაღაზიიდან მოთხოვნა. მომხმარებლებს, რომელთაც სურთ წიგნის შეკვეთა არ აღმოჩნდება იმ ფილიალის თაროზე, სადაც მივიდა მომხმარებელი, სთავაზობენ, რომ დაუკავშირდნენ სხვა მაღაზიებს პირდაპირ ან კომპანიის ვებგვერდის მეშვეობით. მაღაზიის მარაგის დონის შემცირებისას მაღაზიის მენეჯერი ავსებს შესყიდვის მოთხოვნის ფორმას, რომელიც ცენტრალურ საწყობს ეგზავნება. თუ საკმარისი მარაგი არ არის, ივსება მომწოდებლის მოთხოვნის ფორმა, რომელიც შესყიდვების შეკვეთის კლერკს, ოლივერ დენსერს ეგზავნება დასამუშავებლად. იგი შეკვეთებს, რომელთა ღირებულება $1,000-ს აღემატება, ავტორიზაციისთვის აგზავნის შესყიდვების დირექტორთან.

მომწოდებლებისგან საქონლის მიღება ხდება საწყობის გუნდის მიერ, რომლებიც მიწოდებულ საქონელს უდარებენ შესყიდვის შეკვეთას, ამოწმებენ საქონლის რაოდენობას და ხარისხს და ავსებენ თანმიმდევრობით დანომრილ მიღებულ სასაქონლო ზედნადებს. მიღებული სასაქონლო ზედნადებები დასამუშავებლად ბუღალტერიას ეგზავნება ორ კვირაში ერთხელ.

მომწოდებლისგან შესყიდვის ანგარიშ-ფაქტურის მიღების შემდეგ ბუღალტერიის კლერკი მას ადარებს მიღებულ სასაქონლო ზედნადებს. შემდეგ ანგარიშ-ფაქტურა იგზავნება შესყიდვის შემკვეთ კლერკთან, ოლივერთან, რომელიც გადასახდელად ამუშავებს. ფინანსურ დირექტორს აწვდიან გადახდების ჩამონათვლის მთლიან თანხას, რომელსაც ის ამტკიცებს და შემდეგ ამუშავებს საბანკო გადახდებს. ბუღალტერიაში თანამშრომლების ნაკლებობის გამო, მომწოდებლის ამონაწერებთან შეჯერებები აღარ სრულდება.

სხვა ინფორმაცია – ინტერესთა კონფლიქტი

Halley & Co ახლახან დათანხმდა აუდიტორულ გარიგებაზე ახალ დამკვეთს, Edmond Co-ს, რომელიც Comet Publishing Co-ს ძირითადი კონკურენტია. Comet Publishing Co-ს ფინანსურმა დირექტორმა გამოიკითხა, თუ როგორ აპირებს Halley & Co აუდიტის დროს მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვას.

მოითხოვება:

(ა) **ახსნათ დამცავი ზომები, რომლებიც Halley & Co-მ უნდა მიიღოს, რათა უზრუნველყოს გამოვლენილი ინტერესთა კონფლიქტის სათანადოდ მართვა.**

(5 ქულა)

(ბ) **ახსნათ ეტაპები, რომლებიც აუდიტორმა უნდა გაიაროს, რათა დაადასტუროს ფაილში არსებული შესყიდვების და კრედიტორული დავალიანებების დიაგრამების და სისტემების სისწორე. (5 ქულა)**

(გ) **Comet Publishing Co-ს შესყიდვების და კრედიტორული დავალიანების სისტემასთან მიმართებაში:**

(i) გამოავლინოთ და ახსნათ ხუთი ნაკლოვანება;

(ii) მოამზადოთ კონტროლის მექანიზმის რეკომენდაცია თითოეული ზემოაღნიშნული ნაკლოვანებისთვის; და

(iii) აღწეროთ კონტროლის ტესტი, რომელიც აუდიტორმა უნდა შეასრულოს, რათა მან შეაფასოს, დანერგვის შემთხვევაში თითოეული კონტროლის მექანიზმი ეფექტურად იმუშავებს თუ არა გამოვლენილი ნაკლოვანების შესამცირებლად.

შენიშვნა: თქვენი პასუხი მოამზადეთ სამი სვეტის გამოყენებით, რომელთა სათაურები იქნება ,,კონტროლის ნაკლოვანება", ,,კონტროლის რეკომენდაცია" და ,,კონტროლის ტესტი", შესაბამისად. მთლიანი ქულების რაოდენობა თანაბრად გაიყოფა თითოეულ ნაწილზე. **(15 ქულა)**

(დ) **აღწეროთ ძირითადი პროცედურები, რომლებიც აუდიტორმა უნდა შეასრულოს Comet Publishing Co-ს შესყიდვების და სხვა ხარჯების შესახებ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოსაპოვებლად. (5 ქულა)**

(სულ: 30 ქულა)

17. ნაფიც და სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ფირმას, Salt & Pepper, ახლახან მიმართა აუდიტის დამკვეთმა, Cinnamon Brothers Co-მა (Cinnamon), რომლის წლის დასასრულია 31 დეკემბერი. Cinnamon მოითხოვს მისი აუდიტის დასრულებას თებერვლის ბოლოს; თუმცა, ამ პერიოდში Salt & Pepper ძალიან დაკავებულია, ამიტომ იგი აპირებს უფრო მეტი უმცროსი თანამშრომლის გამოყენებას, რადგან ეს თანამშრომლები ხელმისაწვდომნი არიან. ამასთან, დროის და ხარჯების დაზოგვის მიზნით, Salt & Pepper არ დაუკავშირდა Cinnamon-ის ყოფილ აუდიტორებს.

ფირმა ცდილობს აუდიტის დანახარჯების შემცირებას, ამიტომ გადაწყვიტა არ განეახლებინა არსებულ დამკვეთებთან გარიგების წერილები იმის საფუძველზე, რომ საჭირო არ არის წერილების ყოველწლიურად შეცვლა. Salt & Pepper-ის ერთ-ერთი დამკვეთის აზრით მიმდინარე წლის აუდიტის საზღაური უნდა განისაზღვროს მათ საბოლოო დაბეგვრამდე მოგების პროცენტით. პარტნიორები აღტაცებულნი არიან ამ წინადადებით, რადგან სჯერათ, რომ ამიტ მთლიანობაში აუდიტის საზღაური გაიზრდება.

მოითხოვება:

(ა) აღწეროთ ქმედებები, რომლებიც Salt & Pepper-მა უნდა შეასრულოს Cinnamon-თან დაკავშირებით:

(i) აუდიტორად დანიშვნაზე დათანხმებამდე; და (5 ქულა)

(ii) იმის დასადასტურებლად, რომ აუდიტის ჩასატარებლად არსებობს წინაპირობები. (3 ქულა)

(ბ) დაასახელოთ ოთხი საკითხი, რომლებიც უნდა აისახოს აუდიტორული გარიგების წერილში. (2 ქულა)

(გ) ახსნათ ხარისხის კონტროლის პროცედურები, რომლებიც Salt & Pepper-მა უნდა გამოიყენოს, რათა უზრუნველყოს აუდიტის ეფექტურად და ეფექტიანად ჩატარება, დროში შეზღუდვის და უმცროსი თანამშრომლების გამოყენების გამო. (4 ქულა)

(დ) (i) გამოავლინოთ და ახსნათ სამი ეთიკური რისკი, რომლებიც წარმოიქმნება, Salt & Pepper-ის ზემოაღნიშნული ქმედებების გამო; და

(ii) თითოეული ეთიკური რისკისთვის ახსნათ ზომები, რომლებიც Salt & Pepper-მა უნდა მიიღოს წარმოქმნილი რისკის შესამცირებლად.

შენიშვნა: ქულები თანაბრად განაწილდება თითოეულ საკითხზე. პასუხი მოამზადეთ ორი სვეტის გამოყენებით, რომელთა დასახელებები იქნება ,,ეთიკური საფრთხე" და ,,დამცავი ზომა", შესაბამისად. **(6 ქულა)**

(სულ: 20 ქულა)

18. (ა) ასს 700-ით – *მოსაზრების ჩამოყალიბება და დასკვნის წარდგენა ფინანსური ანგარიშგების შესახებ* – აუდიტორებს მოეთხოვებათ აუდიტორის ანგარიშის მომზადება. ეს ანგარიში უნდა შეიცავდეს რამდენიმე თანმიმდევრულ ელემენტს, რათა მომხმარებლებმა შეძლონ იმის გაგება, თუ რა იგულისხმება აუდიტორის ანგარიშში.

მოითხოვება:

აღწეროთ აუდიტორის ანგარიშის ხუთი ელემენტი და თითოეული მათგანისთვის ახსნათ, რატომ არის ასახული აუდიტორის ანგარიშში. (5 ქულა)

თქვენ ხართ Chestnut & Co-ს აუდიტის მენეჯერი და ამჟამად ახორციელებთ აუდიტის სამი დამკვეთის ფაილებში გამოვლენილი ძირითადი საკითხების მიმოხილვას.

კომპანია Palm Industries Co (Palm)

Palm-ის წლის დასასრულია 20X5 წლის 31 მარტი და ფინანსური ანგარიშგების პროექტში ნაჩვენებია ამონაგები $28.2 მილიონი, დებიტორული დავალიანება $5.6 მილიონი და დაბეგვრამდე მოგება $4.8 მილიონი. ამ აუდიტისთვის დასრულებულია ადგილზე მუშაობა.

Palm-ის ერთ-ერთ მომხმარებელს წლის დასასრულს $350,000-ის ოდენობით ვალი ჰქონდა. აპრილში დებიტორული დავალიანებების ტესტირებამ გამოავლინა, რომ ამ მომხმარებელს Palm-თვის თანხა საერთოდ არ გადაუხდია, რადგან ისინი Palm-გან მიღებული გარკვეული საქონლის ხარისხზე კამათობენ. ფინანსური დირექტორი დარწმუნებულია, რომ საკითხი გადაიჭრება და ამ ნაშთან მიმართებით არ შექმნილა დებიტორული დავალიანების ანარიცხი.

კომპანია Ash Trading Co (Ash)

Ash არის Chestnut & Co-ს ახალი დამკვეთი და მისი წლის დასასრულია 20X5 წლის 31 იანვარი. ფირმა აუდიტორად მხოლოდ 20X5 წლის თებერვალში დანიშნა, რადგან ყოფილმა აუდიტორმა მოულოდნელად ვერ შეძლო აუდიტის ჩატარება. ამ აუდიტისთვის ამჟამად მიმდინარეობს ადგილზე სამუშაოები.

Ash-ის საწყობში ინვენტარიზაცია 20X5 წლის 31 იანვარს ჩატარდა, რომელსაც ზედამხედველობა გაუწია კომპანიის შიდა აუდიტის დეპარტამენტმა. არც Chestnut & Co და არც ყოფილი აუდიტორები არ დასწრებიან ინვენტარიზაციას. ინვენტარიზაციის დეტალურ ჩანაწერებს აწარმოებდნენ, მაგრამ შეუძლებელი იყო კიდევ ერთი სრული ინვენტარიზაციის ჩატარება წლის დასრულების შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების პროექტში ნაჩვენებია დაბეგვრამდე მოგება $2.4 მილიონი, ამონაგები $10.1 მილიონი და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები $510,000.

კომპანია Bullfinch.com (Bullfinch)

Bullfinch.com არის ვებგვერდის დიზაინერი კომპანია, რომლის წლის დასასრულია 20X5 წლის 31 ოქტომბერი. აუდიტი თითქმის დასრულებულია და ფინანსურ

ანგარიშგებას ხელი მალე მოეწერება. წლის ამონაგები არის $11.2 მილიონი, ხოლო დაბეგვრამდე მოგება $3.8 მილიონი. ძირითადმა მომხმარებელმა, რომლის დებიტორული დავალიანების ნაშთი წლის დასასრულს იყო $283,000, ახლახან აცნობა Bullfinch.com-ს, რომ ფულადი სახსრების ნაკადის პრობლემები აქვთ და საპროგნოზო მომავალში ვერ შეძლებენ რაიმეს გადახდას. ფინანსურმა დირექტორმა აუდიტორს აცნობა, რომ ის ამ ნაშთს 20X6 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ჩამოწერს, როგორც ამოუღებად ვალს.

მოითხოვება:

(ბ) თითოეული საკითხისთვის:

(i) განიხილოთ საკითხი, მათ შორის იმის შეფასება, არსებითია თუ არა იგი;

(ii) შეიმუშაოთ ერთი პროცედურის რეკომენდაცია, რომელიც აუდიტის გუნდმა უნდა შეასრულოს საკითხის გადასაჭრელად; და

(iii) აღწეროთ გავლენა აუდიტორის ანგარიშზე, თუ საკითხი არ გადაიჭრება.

შენიშვნები:

1. ქულები თანაბრად განაწილდება საკითხებს შორის.

2. ანგარიშიდან ამონარიდი არ მოითხოვება. **(15 ქულა)**

(სულ: 20 ქულა)